ესეს შეფასების რუბრიკა 2026

№	კრიტერიმები	კრიტერიუმების შეფასების აღწერა	ქულა
1.	**დავალების პირობის ადეკვატურად გაგება-გააზრება**	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული	2 ქულა
		დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული	1 ქულა
		დავალების პირობა არასწორად არის გაგებული და გააზრებული (ნაშრომი აღარ შეფასდა, რაც გულისხმობს, რომ შეფასების სხვა კომპონენტებიც არ ფასდება)	0 ქულა
2.	**ანალიზი, მსჯელობა, არგუმენტაცია**	მოცემული საკითხი სიღრმისეულადაა გაანალიზებული, მოყვანილია მყარი, დამაჯერებელი არგუმენტები, მსჯელობა გამყარებულია მაგალითებით, თანმიმდევრული და ლოგიკურია. მკაფიოდ ჩანს სტუდენტის ერუდიცია და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოცემულია არგუმენტებზე დაფუძნებული დასკვნები.	4 ქულა
		მოცემული საკითხი ძირითადად სიღრმისეულადაა გაანალიზებული, მეტწილად მოყვანილია მყარი, დამაჯერებელი არგუმენტები, მსჯელობა გამყარებულია მაგალითებით, თანმიმდევრული და ლოგიკურია. ჩანს სტუდენტის ერუდიცია და დიდწილად დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოცემულია არგუმენტებზე დაფუძნებული დასკვნები.	3 ქულა
		წარმოდგენილია საკითხის გაანალიზების მცდელობა, მოყვანილია მწირი რაოდენობით არგუმენტი, მსჯელობა ნაწილობრივ გამყარებულია მაგალითებით, თანმიმდევრულობა და ლოგიკურობა მეტ-ნაკლებად დარღვეულია. მკაფიოდ არ ჩანს სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით, არგუმენტებზე დაფუძნებული დასკვნები მწირია.	2 ქულა
		საკითხი ზერელედ არის გაანალიზებული, მეტწილად არ არის არგუმენტები, მსჯელობა არ არის გამყარებული მაგალითებით, თანმიმდევრულობა და ლოგიკურობა უმეტესად დარღვეულია. არ ჩანს სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით, დასკვნები არ არის გამყარებული არგუმენტებით.	1 ქულა
		დავალება არ არის სწორად გააზრებული ან/და წარმოდგენილი ნაშრომი არ პასუხობს დავალების შეფასების ამ კომპონენტის მოთხოვნებს.	0 ქულა
3.	**ესეს სტრუქტურა**	ესეს აქვს მკაფიო და სრულყოფილი სტრუქტურა: გამოკვეთილია შესავალი (მაგალითად, კაუჭი, თეზისი ...), ძირითადი ნაწილი (მაგალითად, არგუმენტაცია, ანალიზი ...)	2 ქულა

		და დასკვნა (მაგალითად, შეჯამება, პოზიციის დაფიქსირება ...). აბზაცები ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, გამოყენებულია შესაბამისი ტრანზიტულ-მაკავშირებელი სიტყვები, გადასვლები გამართული და თანმიმდევრულია.	
		ესეს სტრუქტურა ნაწილობრივ გამოკვეთილია (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა), თუმცა, რომელიმე კომპონენტი სუსტადაა განვითარებული ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი; აბზაცებს შორის კავშირი მეტ-ნაკლებად ლოგიკურია.	1 ქულა
		წარმოდგენილი ტექსტი ქაოტურია, რაც ხელს უშლის ინფორმაციის მიღებას და შინაარსის გააზრებას. ტექსტის ნაწილებს შორის არ არის ლოგიკური კავშირი.	0 ქულა
4.	**ენობრივი და სტილისტური გამართულობა**	ნაშრომი ენობრივად გამართულია, სტილი თანმიმდევრულია და შეესაბამება დავალების პირობას. ლექსიკა მდიდარია, თუმცა შესაძლებელია, იყოს უმნიშვნელო ენობრივ-სტილისტური ხარვეზი. ძალიან მცირეა შეცდომები პუნქტუაციაში.	2 ქულა
		ნაშრომი ენობრივად ძირითადად გამართულია, სტილი მეტწილად თანმიმდევრულია და შეესაბამება დავალების პირობას. ლექსიკა შედარებით მწირია. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი სტილისტური და ენობრივი ხარვეზი. დაშვებულია პუნქტუაციური შეცდომები.	1 ქულა
		ნაშრომი ენობრივად გაუმართავია და შეუძლებელია აზრის გაგება.	0 ქულა

მაქსიმალური ქულა: 10